

საბავშვო



საქართველოს საბავშვო ჟურნალი

ი ვ ნ ი ს ი

№ 12

1910

მთავარი რედაქტორი

ვახტანგ შავეჩაძე


შინაარსი.

I—ფისო და ძაღლები,—ჯექსი, შ. მღვიმეაძისა..	3
II—მწევესი გოგია,—დ. თურდოსმარჯაძისა.....	5
III—გლეხი და ცხენი,—(გადმოღებულა) ა. ხაბაძისა... 11	11
IV—კეთილი პეტრე,—(ფრანგულათ) ფ. ლონტისა....	12
V—ტყვეობა ზ თაეისუფლები,—(გადმოკეთებულა) თეო კან- დელაძისა	18
VI—ა) ვამოცანა,—ბ) რებუსი და ილსნა.....	24





საქართველოს
წიგნიერების
კავშირები



წალიწალი 80-VI

№ 12

036060, 1910 წ.



• თბილისი, ელექტრონის სკამზე წიგნების გამოცემულ ქართველო აზნანაკობის. •


შინაარსი.

I—ფისო და ძაღლები, —ფესა, შ. მღვიმელასა	3
II—მწუფესი გოგია, —დ. თურდოსპირელისა	5
III—გლები და ცხენი, —(გადმოღებულა) ა. ხადაშენიშვილასა	11
IV—კეფილი პეტრე, —(ფრანკულით) ფ. დლონტისა	12
V—ტყეობა ღ თაფისუფლება, —(გადმოკეთებულა) თეო კან- დელასისა	18
VI ა) ვამოცანა, —ბ) რებუსი და აღსნა	24





ფისო და კალღები.



უ, აუ, სად წაგვიხვალ,
შე თვალთ მაქცო, შე ეშმაკო,
არ შეგარჩენთ რაც დაგვძართე,
საქმე გვიეფე საარჩაკო!

მაშ, ძღღღები აღარ ვიუოთ,
დაგვიძხე ცუდ'ხე ცუდი,
თუ ძირძი არ მიგაკენიტოთ
ჯერ ეურები, მერე კუდი!

შენს ბიძაშვილს ისიც შერჩა,
იმ დღეს სორცი რო მოგვტაცა,
შენ კი აღარ გაძატივებთ
ამ საქცაელს... ცოტა გვაცა!

ამ სიტყვებით გამოუდგნენ
ფისოს შწეჯარ-მეძებარი,
მაგრამ ციცო ხის კენწეროს
ეცა, როგორც ნიაფ-ქარი.

კუდ-რიკა, ცხვირ-ბანჯგვლიანი,
მაძაქების მეგობარი
გოშიაც კი მოუჟეფდა,
საქმისათვის მთლად უქნარი.

მაგრამ კატას აღარ ჭქონდა
:რაფერი საფაციცო,
აფხორილი დაჭეურებდა
მათ ხემოდან ძარღი ციცო.

— თქვენმა შებ და თქვენმა ლხენამ,
ვერ დამაკლებთ ვერაფერს!
მე აქედან არ ჩამოვალ,
დააღამებთ ტყვილად დღესა.


და ან რა ვქენ იმისთანა,
ავ-კაცობას ვით მიბედავთ?
თქვენ არა ხართ, სისხლს რომა სვამთ
და ხორცისთვის კაცსაც გლეჯავთ?!


ერთი ციცქნა ფილტვი რაა!
ძმარი უნდა წამადინოთ?
დამავევდრეთ: უარესი,
ის, რაც თქვენ არ ჩაგედინოთ!

გახსწით, უმხოდ დანაქადი
ფუჭია და ტყვილა,
ვერას მიზამს აქ მე თქვენი--
ვეფაბა თუ უშვილ ა.

სთქვა და ფისომ მკაცრად ძაღლებს
თვალთ. გადმოუბრუნდა,
კუდ-ბაღანი დაიწმინდა
და ფოთლებში მიიმალა.

შ. მღვიმელი.





მწყემსი გოგია.

სდამო იყო, „შუა შთის“ კალთაზე გადამლილ ხსოვნებზე გაფუნდილი საქონელი და მდინარე შუქვოდ ბაღას. მწყემსებს თავი ერთად მოყვართ და ერთი უიქონა ქონდათ.

— ძლივს არ გვეღირსა გაზაფხული!— გაიმხოდნენ თვალეგბრწეინვებულნი.

— ი ვერანა მარტმა ძან კი ჩაკვამწარ და!— იტეოდა მეორე.

— კაცო, ერთ დღეს ისე გა მოიღარე, გვეონებოდეთ, თიბათვის დილაა.

ვევლებს იმედი მოკვეცა. ის იყო დავანირეთ ჩვენი ჯაგლავი ცხენი წრუტანთ ხოსიასთვის იაღაღზე გაკვეტლებინა მოსალონიერებლად, მაგრამ შეუღებებაც კი არ დავკვაცადა. ამინდი ისევე შეიცვალა, წამოუშინა თოვლ-ჭეხანი და ჩვენმა გადარწეულმა „რამმა“ ფეხები-კი გაფიქვა.

— ეე, ძან გიყაუოფილა მარტი! ტევილად კი არ არის ნათქვამი: მარტის ერთი დღე წინ რომ კედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც ამაგებო.

— მართალს ამბობ, ტეფო, მართალსა!— ჩაერია ლანა-რაკში თორმეტი წლის გოგია:— კინაღამ ოჯახი არ დამიღუ-

ჰა მაგ ტიაღმა, მაგანა! ერთი უღელი ხარი შეავს, ისე ცხცხსებზე შედა და ისე უფლი, როგორც თქლის ჩინსა; ის არის ჩემი მარჯვენა ხელი. აბა, რა შეშველებოდა, რომ ისინი არა შეოლოდენ, რილათი შევინახავდი საწყალ დედაქმეს; რაც მამა ჩემი გარდაიცვალა, ერთი დღე სიამოვნება არ უნახავს მარტმა ისეთი დღე დაუენა ჩემ ნიშა-ნიკორას, ისე გამოაცალა არაქათა და სინსილა, რომ ბლავილაც-კი აღარ შექლო. ჭრილანას დაველრიჯე, ვიცოდი, იმას თივა გამოხოვილი ჰქონდა, ერთი კვირის საყოფა გამოვართვი დადავბირდი, მიწის სვანში ჩემ ნიშა-ნიკორათი გიშველი მეთქი.

ჰატარა გოციას ღაზარაქმა მისი ტოლი ბიჭები დიდად გაბკვირვა, თუცა ადრევედ სმენოდათ მისგან დალაგებული საუბარი ოჯახის შესახებ, მაგრამ ასე თავგამოდებით მხრუნველობა დღიურ ჭირ-ვარამისთვის ერთი კიენა ბიჭისაგან რაღაც უცხოდ ეჩვენათ და თავიანთ უნებლიედ თავსიანად დაუწყეს მოძებობა ჰატარა ვაქვაცს. მწეუქსებს მოსწეინდათ სტუნვა-თამაში და სერსე წამოსდენ. ჩამოვარდა მდუმარება, მწესრის საიდუმლოებამ, ბავშვების გრძობობათა სიძები სსვა გვარად მომართა, მათ სიანცეს სასდვარო დაუდო და დიდხანს გაჭურებდენ ფიანდახად გადაძლილ, მთვარის სსიევებით ნაქარვ ბუნების კალთებს. მორით მოსხანდა ფართო ველი, რომელზედაც მოდუდუნებს ალაზანა. მის კიდეებსე გადაჭიმულია ატესილი ჭაღა. აი, აქ რცხილას ვაქვაცივით შელაგები გუშულია და იწვევს სოხებებსა და ქედებს თავის ტოტებსე სანავარდოდ. იქ ას წლოვან მესას ცაში დაუსლართავს თავისი მრავალ-მტოინი ტოტები, მოძორებით-კი, როგორც სარკეში, ჩაიურება წეაღში მტირაღა, ტოტებ დამკებული ტირიფი და წუნარის შრიღლით რაღაცას ეჩურჩულება, რაღაცას შესნივის ჭავლთა ლივლივს. მარცხენა მხარეს ასიდულა ევარლას მთები, ცა მოკრიღლებულიყო და გაჭურებოდა დედა-



მიწას, მხოლოდ დასავლეთით მთვარის მონარნარე სსივემის და
 დაწენტილ ბაშის ქულასავით ღრუბელი განესქეტაკებინა.
 მწვემსებმა ძალე ზღაპრების თქმა გაჩაღეს.

ისინი რომ გულის ეურით უსმენდნენ მეზღაპრეს, აღმო-
 სავლეთიდან თანდათან ცივი ნიავი უბერავდა. ბაღასი მთლად
 დანამუღიეო, საქონელს მაგრე გაემღო თავისი სტომაქი და
 ხანტად დაბოტებდა მოუსემავე ფეხებსა.

მწვემსებმა იგრძნეს, სოფელში დაბრუნების დრო არისო,
 წამოიძახნენ და საქონლის შეგროვება დაიწყეს.

— ბიჭო, მიხო, ერთი ეს ზაქი გამოგდე აქეთა, — გან-
 მასა სოსიამ და ჭაღის ჰირას მძოვარ მოსევისაკენ გაემართა.

— ძაძოო! სხით მოხვალ, შე ვერანა, შენა!

— სი, გეჩ, გეჩ! გადაადგი ძალე ფეხები! — გაისმოდა აქეთ-
 იქიდან და თან შეინდის სახრეებს საქონლის სურტზე ებზა-ეუიღ
 გაჭქონდა. რამდენსამე წუთს შემდეგ, საქონელი შუა კსაზე ჭეაგ-
 დათ საძორეკილი, ის იეო უნდა დაძრულივუნენ, რომ ტუიდან
 მოესმათ განწირული ძახილი: ნიძა, ნიძა... — ბიჭოს! ეს გო-
 გიას სმას არა ჭკავს? — წამოიძახეს ერთსმად, მიიხედ-მოიხედეს
 და სასტად კი დარჩნენ: გოგია ძართლად მათ შორას არ ერია.

— ი აბუეტმა, როგორ დაჭკარვა ნიძა! — წამოიძახა გაბ-
 რასებით ერთმა.

— არა, შე საღავათ ძაღლო, შენა, იმისი რა ბრალია,
 განა ერთგვარად არ უტდებდით ეურსა საქონელსა? მაგრამ
 თითონ ხარია ეშმაკი; მოჭეუება სეტიაღსა და თითონაც არ
 იცის, სად ამოჭეოფს თავსა, — უხასუსა ილომ და მთელის თა-
 ვის ძაღ-ღონით მოჭევა ძახილსა: „გოგიაა, ჭაი, გოგიააა“!

— აუ, აუუუ! — მოესმა გოგიას გამოსმაურება! — მანდ სად
 წასულხარ, კამქი ე დიუიან დეაქებში მოუკებოთ, იქ იციან
 სოღმე ჩასვლა... — მაგრამ გოგიამ ჰასუსი არ მისცა და იწეო
 ტეში ხარის შენა.



რამდენიმე ბიჭი მაშინვე დაქანდა დელეგებისკენ. ბევრს ეძებეს, მაგრამ ნიშან კვალიც ვერსად ნახეს. კიდევ რამდენჯერმე გასძახეს გოგიას, მაგრამ ისე დაშორებულიყო, რომ აღარც-კი გაუგონია მახილი. მეტი ცხა არ იყო: მწვემსები უნდა დაბრუნებულიყვნენ სოფელში.

გოგია-კი შეუსწავებლივ გადადიოდა ერთის სვედიან მორემში.

— ნიშან, ჩემო კოსტა ნიშან?.. ცაიძახოდა ჩაზღვრილის ხმით და ძალზე აცუცვებდა თვალებს.

ტყეში უკუშეთი სიბნელე გაშეფდა. გოგიამ ძაღლა აიხედა და ცა შავ-გუნანვეტ ღრუბლებით გადაკრული დაინახა. უცბად გაიელვა, დაირუხრუნა და შუილით თითის სისხო სეტყვა წამოუშინა. მთებს ზათქითა და ღრიალით მოსკდა ნიაღვარი.

მდინარეთ—მ სვეებ-ხრამების სმაურობას ბანი მისცა. აზავ-თებული მდინარე არაფერს არ უშეებდა უვნებელს: რასაც კი მოეწეოდა, მოსთხრიდა მორიანად და მიანბენინებდა თავქვე. ცა არ ისვენებდა. ცუცხლის მფრქვეველ მათრახებს ჰკლავნიდა მთების მწვერვალებზე, გოგია შიშას ზარმა აიტანა.— უმერთო, დამიფარე, შენი სახელის ჭირიმე, გადაშირბინე უვნებლად ჩემი ნიშან!

— გორ..—რსხხ..—გაისმა უცებ სამანელი ჭქა-ქუსილი და იქვე ამაყად მდგარ მუხას ცუცხლის ალი დაეცა და მთლად შემუხრა მისი დიდებ.

— უი შევე!—წამოიღმუილა გულ-საკლავად გოგიამ და გონ-დაკარგული მიწაზე განერთხო.

შუა დამე კატუდა. გრივალს მოსწეინდა მთა-გორათ მორის ქროლა და იუქა. ღრუბლებით დათაღსულ აღმოსავლეთს ფერი შეკერთო. ცა ჯერ მქისედ მოკრივლდა და ძაღლ ღურჯ ზღვანავით დელვა—ქათქათი დაიწყო.

აღმოსავლის ტატანზე ცისკარი მორცხვად აბჭვერივლდა, ცივ-გომბორის მთა-გრესილებს „სარბხარამ კანთიადისავან



გამოტანებული უსტარი გადასცა“, თითონ-კი გაჭქრა ზან ცის სივრცეში. აკერ მხეც ამობრწუნდა სსივთა ცხოველ-ქოფელ შადრევნებით. ჰირველი სსივნი ეკვეთენ ნისლით მობურულ იაღბუხის თხემებს და აანარსარ-ააელვარეს. შეკრთა, შეკრთოლდა გაწოლილი ნისლი და სწეკალ ცვრებად მოეფრქვია ბუქ-მცენარეებს შექდეკ მხის სსივები ალაზნის ზვირთებში ჩაეშვა, რომ უფრო განსწეტაკებული მოვლინებოდა არე-მარესა. მიძინებული ნიაგი ზეზე წამოიჭრა, ჩამოუქროლა მანდორ-ბადებს და ევაგილთა სურნელოვნება გაჭფანტა ეო-ველ-მხრივ. უღრანი ტუე სართა ჭიკჭაკ-სტევენამ მოიკვა. მხის სსივები ქურდულად ჩაიპარენ მუხის სძირ ფოთლებში და ფერ-ძისდილ გოგიას ნაზად ეამბორნენ. გოგია შეიშპორა, ჰატარბ ტუეები რამდენჯერმე გადაცაძუნა და თვალბე. კაბჭ-ეიტა. ესიაძოვნა მხის სსივებით შენაფრქვევი დილა. ისეე განაგრძო ნიშას მებნა. ბევრი არ უვლია, რომ სძელ ბალანის ფანუნი მოესმა. გოგია, ცოტა არ იეოს, შეკრთა: ემანდ და-თვი, ან კარეული ტახი არ იეოსო... აი, კარკვევით მოესმა ბლავილი. „ნიშა ვიპოვნე, ნიშაო“! აღტაცებით წამოიძანა და წვიძისგან დასველებულ ნიშას ეელზე მოესვია.

გაიგო თუ არა დედამ გოგიას ამბავი, ელდა ეცა და მო-ჭევა ქვითინსა. ნიშას დაკარგვას არა ტიროდა. თავის სიცო-ცხლეს მისცემდა, ოღონდ მვილი დაჭბრუნებოდა. ნადირმა ან ნიაღვარმა არ გამოტაცოს ხელიდან ჩემი გოგია და არ და-ვიღუპოო. ტუეში წასვლა დააპირა კიდევ, მაგრამ დედაქაცები კარს შემოესვივნენ და არ გაუშვეს.

ვაი იმ გათენებას, როგორც იმან გაათენა. მის თვალთა ქუთუთოები ერთმანეთს არ მიჭკარებია. იწვა ტახტზე გულ-აღმა და ეურს უგდებდა სტიქიონის ბობოქრობასა. აღიონი ჯერ არც-კი იყო აწეული, რომ ქვრივი ფეხზე დადგა და შე-ზობლებს აღვიძებდა ტუეში წასაევენად.

— გაძალებით მიეძურებოდა ტვისკენ მიძავალ ბილგის
 თან ვაი-უძით გუღში სელებს იცემდა.

სოფელს არც-კი, ვასცილებოდნენ, რომ შორს ორ. მთ. —
 მრავი ღანდი შეამჩნიეს... უური მიუტდეს და გოციას სმა-კი
 შემოესმათ. ერთი თვალის დახამსამების უმალ დედა შვილთან
 განნდა: „შენ-კი კენაცვალოს დედა, შვილო“, — წამოიძხსა
 ქვრივმა და გუღში ჩაიკრა ზირმმო შვილი, — როგორ გაუძულ,
 შვილო, ასეთ ავდარს?! გოციას შერცხვა, რომ ასეთა სიტ-
 ვეებით მიძართავდა დედა და დარბაისღურად უმასუნა:

... რა გატირებს, დედილო, ბავშვი სომ არა ვარ, რა დამ. —
 მუდებოდა. ქვრივს შვილის ასეთ ზასუსზე სიამოვნების ვრუძლე-
 ბი გადმოსკდა თვალებიდან და, ღვთისადმი მადლობის ნიშნად,
 სასოებით აღაპრობინა სელები შეცად. დ. თურდოსპირელი.





გლები და ცხენი.



მი იყო. შეშინებული ხალხი მტერს ეძებდა. გლები წავიდა მინდორში ცხენის მოსაყვანად და უთხრა:


— გამოძევე ჩქარა, თორემ, თუ მტერმა დაგინახა, წაგიყვანს. ცხენი შეეკითხა:

— შერე რას მიზამს მტერი?

— გამუშავებს და, თუ იუარებ, დაიხარებ მუშაობას, კარგა გცემს.

— შენც ხომ მცემ, თუმცა სვინდისიერად გემსახურები, მუშაობით კი ჩემთვის სულ ერთია, ვისთვისაც ვიმუშავებ — შენ იქნები თუ სხვა, მამ, რაღად უნდა შეშინოდეს მტრისა?

ა. ახალშენიშვილი.





კეთილი ჰეტრე.

(ფრანგულით)



ემი ჰატარა ამხანაგი მეტად საუფარული ბავშვი იყო. თავის კეთილ ს სნე-სასიათით, ძარილიანის სიცილით და გულწრფელ სიტყვა-პასუხით მუდამ იზიდავდა ვეკლას ნაცნობის გულს. მაგრამ არ იფიქროთ, ვითომ ჩემი ჰატარა ჰეტრე, — ასე კმახდნენ ჩემს ამხანაგს, — უოვლად უმანკო, ვეკლას ღირსებით შეძკული ეოფილიეოს. არა! ჰეტრეს ერთი ძალიან დიდი საკლუღეუვანება ჰქონდა. მეტად ზარმაცე ბავშვი იყო. ჰეტრე სწავლობდა გიმნაზიაში. სნე-სასიათით კარგ შეგირდათ სთვლიდნენ, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ძლიერ ზარმაცი იყო, გულს ვერ უღებდა თავის გაკვეთილებს, ჩქარობდა. ოღონდ-კი როგორმე გადაეკითხა გაკვეთილები, კარგად იცოდა თუ აუად, ამას აღარ დანდევდა. თავის ძმა ძალიან სწუხდა ამისათვის. „რა ვქნა?“ — სძირად დაეკითხებოდა სოღმე თავის თავს, — ჩემი ჰეტრე ვერასოდეს ვერ მოჰკიდებს ხელს საქმეს მტკიცედ. ვინ იცის, რა მოელის ამ ბავშვს? ვინ იცის, ეკვბ სიხარმაცემ ცოტ-ცოტობით სულ დაუჩლუნგოს კონება და დააკარგვინოს, რაც-კი კარგი სნე სწიროს? ოჰ, ნეტავი შექმდლოს იმის გულში შრომისა და მუეაითობის სიუვარულის ხანერგვა!...

გათავდა თუ არა ერთი სამოსწავლო წელი, ჩვენმა ჰეტრემ სისარულით დასტოვა გიმნაზიის კარები, ჩაჯდა ეტლში და სახლისაკენ გასწია, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სახლს, მით უფრო ღონდებოდა, რადგანაც ჰეტრმობდა,



რომ მშობლებთან არავითარი სახუტეშო ამბავი არ მიტეხდა. არა თუ სახუტარი, არამედ ერთი კარგი ნიძანიც ვერ ძიელო სწავლაში. როდესაც ეტლი დაუხლოვდა ეზოს კარებს, ჰეროე ძლიერ აღელდა. მშობლები ალერსით მიეცემენ და დაუწყეს კოცნა, მაგრამ ამკარად ეტუობოდათ — დანაღვლიანებულნი იუვენ.

— ჰეროე, ძართლია, შენგან ძალიან გულნატკეპები, ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს შენვე შესძლებ შეცდომის განწორებას და დაიმსახურებ იმ სახუტარს, რომელსაც დიდი ხანია ნატრობ. იშრომე ბევრითად, გამოიყენე ეს დღესასწაულები, აინაზღაურე დაკარგული დრო, ერთის სიტყვით, მოიქეცი ისე, როგორც ვარე ბავშს შკუერის. შენი ასეთი საქციელი ჩვენ დიდს ბედნიერებას მოგვანიჭებს.

მაშის სიტყვებმა ჰეროე ძლიერ დააფიქრა. რა ტკბილი ოცნება! მერე რა ადვილია მისი განხორციელება! არა — დაუეონებელიც უნდა შევუდგე სწავლას! უნდა ვინაწავლო... უნდა ავასრულო მაშის სურვალი!.. ადგა თუ არა დილით, ჰეროემ მოუყარა თავი წიგნებს და გადაათვალიერა: გამრავლება... გაუოფა... მიძღვობის წესები. სავარჯიშო კრებულები... რა არა, დღეს მუშაობა არ შემოიღიან! მშვენიერი დილაა და უნდა ვინიამოვნო: უნდა მივიარ-მოვიარო ნაცნობი ადგილები. მართლაც, მშვენიერი დილაა იყო, ბრწყინვალე მხე თითქო თავისკენ ენატყეობოდა, იწვევდა მინდორში სასკიროდ. არ გასულა ოცი წამიც, ჰეროემ დაინურა ქედი და განწია მწვანე მინდვრისკენ. აქ ჰეროე მესვდა თავის ძველ ძეგობარს, ანდრია მარემალს, რომელსაც სამოვრად მროსები გამოვრეკა. ანდრია ალერსიანი და სრდილობიანი უმაწვილი იყო. ისიც სინარულით მიესალმა თავის ძველ ძეგობარს:

— ჰეროე!.. რა ბედნიერი ვარ, შენ რომ გხედავ! შენ ხომ გიმნაზიაში სწავლობ!

— დიად, გომნაზიაში ვარ, ჩემო ანდრო!

— რა ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო ჰეტრე!

— რითი?

— იმით, რომ სასწავლებელში დადიხარ და იქ ბევრ რა-
სმე სწავლობ:

— მართალი გითხრა, ვერაფერს სასიამოვნოს იქ ვერა
ვხედავ და მეც, როგორც გულ-გატყნობილი, თავს მანც და
მანც არ ვიტყენ.

— მართლა?... რათა მერე?... ნუ თუ აგრე ზარმაცი ხარ?

— ძმულს მკვადინეობა, — უზახუნა სირცხვილი გაწით-
ლებულმა ჰეტრემ.

— ოჰ!.. მე რომ შენს ადგილას ვიყო, სულ მკვადინეო-
ბაში ვიქნებოდი.

ამ სიტუაციაზე ზატარა მწუქსმა ღრმად ამოიოხრა. იმის
სახეს რაღაც მწუხარება დაეტეო. ჰეტრემ შეამჩნია მწუხარება
და ჰკითხა:

— რა დაგემართა? რაღასაც მიძალავ? მითხარი, რა ამ
ბავია...

ცოტა ეოუმანის შემდეგ, ანდრიამ უზახუნა:

— მამჩემი მოხუცდა და თანაც ძლიერ ღარიბნი ვართ
თუმცა ვმუშაობ, მაგრამ რა უნდა მოვინაგრო უბრალო მწუქ-
მსმა! მინდა ვიმოვო უკეთესი ალაგი. გავიგე — ჩვენს ქალაქში
ერთი წიგნების გამედიველი მკვირდს ემებს, კარგს ჯამაგირ-
საც ჰპირდება თურმე. მე უკვე ვიუხვი იმასთან და მითხრა:
სიამოვნებით მივიღებდი, ცოტა უკეთ რომ იცოდე წერა-კით-
ხვა და ანგარიშობა; ამასთანავე ძირობა, ორი თვე იმეცადინე
და ცოტა რამ შეისწავლეო... მაგრამ რა ვქნა? მწუქსში ვარ და
მთელი დღეები მწუქსობას უნდები...

ამ სიტუაციაზე ანდრიას თვალეზე ცრემლები მოადგა. ჰე-
ტრე ძლიერ დააფიქრა ამ სიტუაციაზე.



— გამიგონე, ანდრო, მე ერთი რამ მოვიფიქრე, მომიტმინე, ახლა წავალ და... ისევ ძალე დაჯბრუნდები. ანდრო, ჩემო ანდრო, ნუ გეშინია, ადგილი წიგნების გამედიკულთან არ აგკვდება! ჰეროე გასარბებული დაბრუნდა თავის სახლში. საუწყისი შემდეგ მოუყარა თავი წიგნებს და რვეულებს, აიღო ხელში და გასწია მინდრად. დედამძას ძრიელ გაუკვირდათ ჰეროეს საქციელი... ჰეროე მივიდა ანდროსთან და თამამად შესძახა:

— აბა, შეუდგეო საქმეს!

ანდრომ დაინახა თუ არა წიგნება, მაშინვე მიხვდა ვეულაყვრს.

— ბატონო ჰეროე!.. ბატონო!.. რა გულკეთილი უოვილხარ!

დაიწყო გაკვეთილი. ჰეროე კითხულობდა და ანდროს უსმენდა. ორივენი თანასწორ ბეჯითობას იყენებენ. ნაწერიც გასწორება, ცოტა არ იყოს, ორივეს უძნელდებოდათ. ჰეროე, შეძლებდა ახსნა და გარდა, ახსნავლიდა ანდროს, უთვალისწინებდა წაკითხულს მაგალითებით ანდროს დიდას ეურადღებით უსმენდა და ითვისებდა იმის სიტყვებს. ზოგჯერ ჰატარა გიმნაზიკის უძნელდებოდა ამონაკისას გაკება, მაშინ ორნივე, ერთმანერთის დახმარებით, ითვალისწინებდნენ წაკითხულს. ასე ორ საათზე მეტს ახსნავლიდა ჰეროე ანდროს. ორის საათის შემდეგ, ორივეს დაღალვა დაეკუთვნოდა, მაგრამ სამაკვიროდ ორივენი კმაყოფილნი იყვნენ თავის ბეჯითობით.

— ხვალამდის! დღეიდან დასწებული უოველ დღე უნდა ვიძეცადინოთ, — გამოუცხადა ჰეროემ ანდროს და კიდევ შეასრულა თავისი სიტყვა. ხანდახან სიხარმაცე ისევ ესტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ არ უტყდებოდა და მსენებდა ამ აზრით, რომ ჰატარა ამხანაგის ბედი მის ხელში იყო.

გავიდა სამი კვირა. ანდროს დაეწია თავის ჰატარა მასწავლებელს; ახლა ორივენი ერთად სწავლობდნენ, ეხმარებო-



დნენ ერთმანერთს. რაც შეიძლებოდა, ორნივე დიდ მუეაითობას იჩენდნენ სწავლაში; ისვენებდნენ მაშინ, როდესაც დარწმუნდებოდნენ, გაკვეთილი რიგისად ვიცითო. ჰეტრეს მამამ ეველაფერი იცოდა, ეველაფერს თვალს ადევნებდა და მის სისარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— წინდაწინვე ვიცოდი, რომ ჩემი ჰეტრე ჭკუაში ჩავარდებოდა — ამის თავდები იყო მისი გულგუთილობა. — ამბობდა მამა.

თხუთმეტი ენკენისთვე შოახლოვდა, ჰეტრეს მამა წავიდა ქალაქში და, ერთი კვირის, შემდეგ, უკან დაბრუნდა; მას თან მოჰყვა ის წიგნის გამეიდველი, ვისთანაც შეკირღობას ანდრია დიდი ხანია ოცნებობდა. მეორე დღესვე მამამ უთხრა შვილს:

— წადი, მოიუვანე შენი ამხანაგი, საქმე გვაქვს იმასთან.

ჰეტრე გაიქცა და მოიუვანა თავისი ამხანაგი. მაგიდაზე უკვე მოემზადებინათ საწერი ქაღალდი, მელანი და კალმის ტარები. წიგნის გამეიდველი და ჰეტრეს მამა ერთმანერთს ებახებოდნენ.

— დაჯექით, ბავშვებო, და დასწერეთ, — წარმოსთქვა სტუმარმა. ჯერ ზეპირად დააწერინა ერთი გვერდი, შემდეგ მისცა არითმეტიკული გამოცანა; ერთის საათის შემდეგ, ჰეტრემ თამამად ასწია მძლვა თავი და წამოიძახა:

— უკვე გავათავე!

— მეც გავათავე, — უპასუხა ანდრიამ.

— აბა, ვნახოთ, — სთქვეს ჰეტრეს მამამ და წიგნის გამეიდველმა.

ორივემ გადაათვალიერეს ბავშვების ნაშრომი და ძლიან გამუოფილნი დარწნენ; ბევრიც იცინეს.

— თქვენ, როგორც სჩანს, კარგად გიმუძავნიათ, — წარმოსთქვა ჰეტრეს მამამ. — ძლიან პატიოსანი. ჰეტრე! აღთქმულ საჩუქარს სვალვე მიიღებ.



— ანდრია, შენ, ორის კვირის შემდეგ, ჩემთან იმსახურებ...
 ადგილი შენთვის მხად შექნება, — უთხრა წიგნის გამეიდველმა.

ორმა კვირამ შეუძინებლად განვლო. კათაგდა კანიკულუბიც. ჰერტე გაისტუმრეს გიმნაზიაში, ანდრია კი მიებარა თავის ახალ ოსტატს.

ახალ სამოსწავლო წლიდან ჰერტემ მშვენივრად დაიწყო სწავლა. ანდრიაც თავის ბეჯითობით და შეცადინეობით მალე დაწინაურდა სამსახურში; ათის წლის შემდეგ, ოსტატმა თანაშემწედ გაიხადა.

ჰერტე და ანდრია ერთმანეთს არ ივიწყებდნენ, მთელ სიცოცხლეში. ახსოვდათ ის დრო, როდესაც ერთად სწავლობდნენ მინდორში...

ფ ლონტი.





სუვერგა და თავისუფლება.

(გ. დმოკეთებული)



ილა კარგა უოფნისა, დიდებულო ლომო! დღეს
 საუცხოვო ამინდია და სომ კაი გუნებაზე ბრძან-
 დებით, ბატონო ჩემო?—ჩაუჭიკჭიკა ბელურა-
 ჩიტბა უდაბნოს მეფეს და შეფრინდა მასთან გა-
 ლიაში, ანუ სამხეცეში, სადაც ლომი გამოძვედუელი იყო რკი-
 ნის მოაჯირებსშუა.

— კაცა და გუნება, ჩემო ჩიტუნია! რა ვიცი, შე კი ვე-
 რაფერ გუნებაზედა ვარ და დიდ სიციუესაც ვკრძნობ ამ წუე-
 ულ გაღიაში! — მიუგო ლომმა.

— რათა, ბატონო!! — გაიკვირვა ბელურამ, — ტანხეულობის
ლი ბეწვი გასხიანთ, სადგომს კარკად გითბ აბენ და რათ უნდა
ცვიოდეს!

— მართალია, მაგრამ მე ამისთანა სითბოს როდი ვარ
დაჩვეული: ჩემს სამშობლოს მზე თონესავით ახურებს, ზემო-
დან მუდამ ლურჯი ცა დაჭურებს, არც ასეთი სუსნიანი ქა-
რი დასუსუნებს და არც ეს თეთრი ფერფლი სცვივა ძაღლი-
დან, რომელიც აგერ დედაძინაზე ეფინება.

— თეთრ ფერფლს რას ეძახი! თოვლსა?

— იქნება ეგრეც იყოს! მე რა ვიცი, რა ჭკვიან მაგას
თქვენებურად!.. ოჰ, ნეტავი კი შენი ფრთები გამოძანსა, ჩი-
ტუნიავ, რომ ისევ ჩემს აფრიკაში ვადაფურენილიყავ! — ამო-
იოსრა ლომმა.

— სად არის აფრიკა? უთუოდ ძალიან შორს იქნება აქე-
დან! მითხარ, მენ ვეთაყვანე, ჩვენს ქვეყანას არა ჭკავს შენი
სამშობლო? იქაც ამისთანა სახლები, ქუჩები და ეტლები არ
არის? იქაც ასეთი მხაურობა და კვამლია? იქაც ჩემისთანა ბე-
ღურა ჩიტებია? — გამოჭკითხა ბელურამ.

— არა, ჩემო კარგო! — ამოიოსრა ლომმა: არაფერი ამი-
სი მსგავსი არ უოყილა იქ, სადაც მე ვცხოვრობდა. იქ მარ-
ტო აქლემები, სირაქლემები, ქვიძის ზეინები, უდაბნოები დე-
ლეები და შთებია!

— ჰო, ჰო, ვიცი. იქ უთუოდ ბორჯომისა და აბასთუმ-
ნისთანა ხეობებია, სურამისა და კომბორის ქედებისთანა მთე-
ბი იქნება! — შესჭიკჭიკა ბელურამ.

— მე თქვენი ბორჯომი და აბასთუმანი, კომბორი და სუ-
რამი არ დამინახავს და, აბა, როგორ გითხრა.. წარმოიდ-
გინე აი იმ სამრეკლოსე ძაღლი ბზის სეები, და ათის ტუი-
ლისის ოდენა ადგილზედ გაჭიმული ტყე..

ბელურამ ფრთა-ფრთას შემოვრა განცვიფრებით და ზეპირად წიკჭიკა: — უიძე, დედავ, რა საკვირველება უოფილა!.. რა საუცხოვო და სანაბამუნო იქნება იქ მოვსაურობა!.. თავი კი შეგაწეინე, გენაცვა, ამდენის კლურტულით, მაგრამ მიაძმე კიდევ რამ შენის სამშობლოსი ..

— დიდის სიამოვნებით, მაგრამ ნახევარაც აღარ მახსოვს იქაური აძებები, იმდენი ხანია, რაც იქაურობას დაუძორდი, ჩემდა საუბედუროდ!...

— არაფერია, ბატონო, რაც გახსოვს, ის მიაძმე! — სთხოვა ბელურამ, ჩამოუშვა ფრთები, მიგოგმანდა ლომის ასლოს, მიუჯდა და სმენად გადაიქცა.

**

ლომმა დაღვრემილი თვალები სადღაც შორს მიახურა, დაივიწყო უოველივე მის გარეშემო, — სატუსაღოს შენობა, მისი ცივი რკინის მავთულები და მთელი ფიქრი და გონება თავის სამშობლოსკენ გადაიტანა.

— შენ, იქნება იცოდე, ჩიტუნია, რომ ჩემი სამშობლო სახარის უსარ-მასარ უდაბნოს აკრავს? — დაიწყო ლომმა.

— რა არის უდაბნო? — გაიკვირვა ბელურამ, — მე არც სასარა გამოგონია და არც უდაბნო ვიცი, რა არის, ტყუილი სხვისიც შეჯავრება!

ჩრდილოეთ აფრიკაში გაჭიმულია ერთი უსარ-მასარი, თვალ-უწვდენელი ადგილი, რომელიც სულ ერთიან ქვეშით, ქვებით და საღის კლდეებით არის დაფენილი. იქ ვერ შესვდება ადამიანი ვერც ამწვანებულ ტყეებს, ვერც აუვაგებულ ველებს, ვერც დიდ მდინარეებს და ტბებს, რომლებიც ასე ამშვენებენ და აცოცხლებენ ჩემს სამშობლოს. იქ უოველივე სდუმს, მიწუძებულა, თითქო სიცოცხლე მოსწობიაო.



ზემოდან ნიადგ ლურჯი, უღრუბლო ცა დაჭურვებს დაჭრისა
 შემო ვეთელა ქვიშა და სრიოკი ქვებია გადაშლილი, რომე-
 ლიც გაჭიმულია შორს, შორს, სანამ ადამიანის თვალი მის-
 წვდებოდეს. ეს არის უდაბნო სახარა. ქვიშა უდაბნოში მალაღ-
 მალაღ (50 საყენსე უმაღლეს) გორაკებდ არის მოზყინული,
 ასის ვერსის მანძილსეა გაჭიმული და 'სღვის შემდგარ 'ზე-
 რთებს მოაგონებს ადამიანს. უდაბნოში იმდენია ქვიშა, რამ-
 დენიც 'სღვაში წვალი, ან ცაში ვარსკვლავები...

— უჰ! შესძახა გაკვირვებით ბელურამ: 'სღვა-კი არ მი-
 ნახავს, მაგრამ ვარსკვლავები... დედავ, შენ გქნაცვალე... რა-
 მდენი დამინახავს ცაზე, როცა სანდახან ღამე ძილი გამოფხო-
 ბია და მალლა ცქერა დამიწვევია! მგონი ტანზე ბუმბული და
 ბეწვიც-კი არ გვასხია იმდენი მე და შენ!

— უდაბნო საუცხოო სანაზარდო ადგილია ჩვენთვის,
 მაგრამ იქ სშირად ჰხედავს თვალი გასაოცარ სანახავს, ისეთ
 რაშეს, რაც, ნამდვილად სრულებითაც არ არის და არც რო-
 დისმე ეოფილა. ჰხედავ შენ წინ, მაკალითად, მძკენერ მდი-
 ნარეს, ან ტბას, ბზის ხეებით გარშემორტყიულს და ამ მდი-
 ნარე-ტბის ნაპირებში და ხეები ისე მოსხანს წვალში, როგორც
 სარკეში. ჰხედავ ვეღა ამას და მიენქარები მდინარისაკეს,
 რომ დაეწაფო და გასურებულ გულსე, წუურვილი მოიკლა,
 მაგრამ, ოჰ, საკვირველებავ!.. მიუასლოვდები თუ არა, ეს მო-
 ჩვენებ ჰქრება უეცრად და შენ წინ, ტბა მდინარისა და ხეების
 ნაცვლად, ისევე 'რული ქვიშნარი გადაიძლება!

ჩიტმა-ჩიორამ გამტკრებით შეჰხედა ლომს, ჰირს დიმილი
 მოუვიდა და უთხრა:

— რა მასხარად მიგდებ, ბატონო ჩემო!

— სრულებითაც არა, ჩემო ჩიტუნავ! სიძარბოლეს გეუ-
 ბნები და, თუ ჩემი არა გჯერა, აი ჩემთან დატყვევებულ სი-
 რაქლექასა და აქლემს ჰკითხე.

— აჰ, როგორ გეკადრება, ბატონო! ძვერა, მაკრამ მიკვირს და გავაცეხულა ვარ!

— გასაოცარი მოვლენაა, ჩატუნავ, და იმიტომ ხარ გავაცეხული... ახლა უური მიგდე, ჩემი სიუმაწვილის ამბები გიამბო, როგორ გამოვექმნა ერთხელ ჩვენ მთელის ოჯახობით სამხრეთისაკენ, სადაც დაიწყო ჩემი ჰირველი აღსრულა... ოჰ, რა კარგად მახსოვს ჩემი სტუნაობის ჰირველი გავკეთილი!.. მაშამ მიმიკვანა ერთ განიერ რუს ჰირთან და მითხრა: — აბა, მიუტო, შვილო, და მომბამე... ისეუბა, გადასტა სამინელის სიპარდით მეორე ნაპირზე და იმწამსვე უკანვე გადმოსტა. „აი, შენც ასე უნდა გადასტ-გადმოსტო“, მითხრა: ახლა გაწექ მიწაზე, მოიძარჯვე მთელი ტანი, კარგად მოეშადე და როცა დაგეძახო „სამი“, — გადასტი!.. აბა, მხათა ხარ?... ერთი!.. ორა!.. სამი!.. მე ვისკუპე, რაც ძალი და ღონე მქონდა და... დურღუმელ წებლში-კი ტეაზანი მოვადინე!.. ამომართია მაშა ჩემმა მდინარიდან და კიდეე მჩვენა, როგორ უნდა გადავმსტარიკავ... ისევე ვისკუპე და ახლა-კი მშვიდობით გადავსტი მეორე ნაპირას... ამის შემდეგ მუდამ დღე ვსტეობდი მდინარეებზე, სრამებზე და თანდათან მეტ ნასტომს ვახერხებდი. ძალე მაშაზე უკეთესადაც დავიწეე სტომა, რადგანაც ის ხანში მესულა იყო!.. დემართო ჩემო! განა წარმოვიდგენდი, მაშან, რომ ეს ჩემი სტუნაობა შემდეგში ხალხის თავშესაქცევად დამჭირებოდა სამხეცოში!.. ახლა ამახაც გეტყვი, თუ გინდა, როგორ ვისწავლე ვვირდილი...

— დიდა, ბატონო, დიდა, როგორ არ მინდა მაკრამ ვვირდილის სწავლა რაღა საჭიროა, ნეტა ვიცოდე!

— ვვირდილიც არის და ვვირდილიც!... ჩვენი ვვირდილის სხა სხვა და სხვა გვარია, გარემოების მიხედულობით: ზოგ შემთხვევაში ღრიბლით უნდა გაუფართხილოთ ამხანაგები რაიმე



განსაცდელის ასაცილებლად; ზოგჯერ კი სისარული უნდა გავუზიაროთ, როცა გემრიელ ლუკმას წავაწუდებით, ძაგაღითად. განა შენთვის-კი არ უსწავლებიათ დედამამს ფრენა და ჭიკჭიკი, როცა ჰატარა იუპი?!
 — როგორ არა, გენაცვა! შესჭიკჭიკა ბელურამ: მართლა მე სულელმა ეს როგორ ვერ მოვიფიქრე!.. აბა, მიახე, როგორ გასწავლეს ღრიალი!..

თეო. კანდელაკი

(დასასრული იქნება)



რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი კარბელაშვილის მიერ).



ს
ე
მ
კ
ო
ი
ბ
ე
ვ



კ
ე
შ
ი
ბ
ი



ა
მ
ე
რ



ბ



შენი დედის ქალიშვილი



ბ
ე
ვ
ო
რ
ი



ე

მე-11 №-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა:

ჭაჭა.

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

მაღაზიაში იუიდება შემდეგი წიგნები:

წლაკრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავ გადასავალი, თსულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 50 კ.

რას გვიამბობს ოთახი. თსულება ჰვენა-რიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 20 კ.

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საუბრალოდ სურათებიანი ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

წელიწადი მთავარი

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადუ-ლი“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. დედაჩინა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზღაპარი ევალდის კეჭესი სურათით. — II. მარჯნები, — ზღაპარი ევალდის ოთხი სურათით. III. თორმეტი და, — ზღაპარი ევალდისა ერთი სურათით. — IV. ძარ-თული მხატვრული ასოები კაზიკაძე.

ჟურნალს ხელმძღვანელმა უწევს სეკანტებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

უპასუხო ჟურნალის: წაიკრებო ხუთი მანეთი, ნახევარის წლით სამი მან.

სამხედრო კარგად: წაიკრებო შვიდი მანეთი, ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან, — ხელის-მომწერა შეიძლება წაიკრებო და ნახევარი წლით ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვიჩის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერათ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დაეკრება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, ირა უგვიანეს ერთი თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუშანიშვილი.